სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

25 ივლისი 2024

N 21/7745

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს

ასლი: სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრს

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

თქვენი 2024 წლის პირველი მაისის N03/559 (სააგენტოს რეგისტრაციით N4524 01.05.2024) წერილის პასუხად, რომელიც ეხება რეკომენდაციის მიღების მიზნით წარმოდგენილ ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტსა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშს, გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია მოსახლეობის რაოდენობაზე, დინამიკაზე, სიმჭიდროვეზე და სხვა დემოგრაფიულ მახასიათებლებზე, რაც არსებითად დაასაბუთებდა ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული გეგმარების საიმედოობას და საჭიროებას, ასევე ქალაქის ისტორიულ, ბუნებრივ და კულტურულ ლანდშაფტების არსებობასა და მათი ზონირებაში ჩართვის აუცილებლობას. საჭიროა განხილულ იქნას ლანდშაფტური ტერიტორიის ადგილმდებარეობის, საკვლევი ტერიტორიის ფართობისა და ქალაქის ცენტრალური ზონის გამოყოფის პრინციპების შესახებ ინფორმაცია.
- საჭიროა წარმოდგენილ იქნას საკვლევი ობიექტის ბუნებრივი გარემოს (ლანდშაფტის) თანამედროვე მდგომარეობა, ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედების ფორმები, პოტენციალი, მდგრადობა და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია, ასევე სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას გარემოსდაცვით მონიტორინგს დაქვემდებარებულ საკითხებში ლანდშაფტის შესაძლო ტრანსფორმაციის მონიტორინგის აუცილებლობის, მეთოდების და ფორმების შესახებ. ამასთან, საჭიროა გეგმარებითი არეალის ისტორიული ლანდშაფტის ზონირება და ამგვარი ზონების მიხედვით გარემოსდაცვითი სტრატეგიის მიმართულებების განსაზღვრა;
- სგშ-ის ანგარიშში განხილულია ნიადაგის და ხმაურით დაბინძურების მაჩვენებლები თუმცა არ არის განხილული მათი ხარისხი და შედეგები, რაც საჭიროებს დამატებით წარმოდგენას;
- წარმოდგენილ უნდა იქნეს ბუნებრივი ლანდშაფტების მიხედვით კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაცია, რაც გაზრდის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროგნოზირების საიმედოობას;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ბუნებრივი საფრთხეების (მათ შორის გეოლოგიური) ზონირების მსხვილმასშტაბიანი რუკები;

- სტრატეგიული შეფასების ანგარიშში საჭიროა წარმოდგენილი იყოს ქ. გურჯაანის ცენტრალური ნაწილის ფუნქციური ზონირების რუკის საბოლოო ვერსია;
- საჭიროა დამატებით წარმოდგენილი იყოს რეკომენდაციები პროცესების მონიტორინგისა და შესაძლო პრევენციის შესახებ;
- სგშ-ის ანგარიშში მითითებულ მონიტორინგის გეგმასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მონიტორინგს უნდა დაექვემდებაროს დოკუმენტაციაში განხილული გარემოსთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები და შესაბამისად, მნიშვნელოვანი ზემოქმედებები, რაც არ არის ასახული წარმოდგენილ მონიტორინგის გეგმაში. ასევე საჭიროა დაზუსტდეს მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოები. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას გარემოსდაცვით მონიტორინგს დაქვემდებარებული საკითხების შესახებ (წყალი, ნიადაგი, ჰაერი) აღნიშნულია, რომ მონიტორინგზე (მათ შორის ინსტრუმენტული) პასუხისმგებელია გარემოს ეროვნული სააგენტო, თუმცა ამ ეტაპზე გარემოს ეროვნული სააგენტო ქ. გურჯაანის საპროექტო არეალში მონიტორინგს აღნიშნულ გარემოს კომპონენტებზე არ ახორციელებს. ასევე, საჭიროებს დაზუსტებას საშიში გეოდინამიკურ პროცესებზე მითითებული პასუხისმგებელი ორგანიზაცია. შესაბამისად, აღნიშნული მონიტორინგის გეგმა საჭიროებს განახლებას;
- სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, მაქსიმალურად გასათვალისწინებელია გურჯაანის ისტორიული კონტექსტი, ქალაქის და მისი ცენტრის მემკვიდრეობითი განვითარების უზრუნველსაყოფად. რეკომენდებულია, სადგურის წინა სივრცე არ ჩაიკეტოს ახალი შენობა-ნაგებობებით, არამედ შენარჩუნდეს და განვითარდეს არსებული მწვანე სივრცე (ე.წ. ბებოს ბაღი). ამით შენარჩუნდება ასევე ხედი სადგურზე, რაც მნიშვნელოვანია ცენტრის სივრცით-გეგმარებითი გადაწყვეტისათვის. ამდენად, სასურველია ღვინის პიაცასათვის მოიძებნოს ალტერნატიული ადგილი, რომელიც უნდა აისახოს განაშენიანების გეგმის დოკუმენტში. ასევე, ყურადღება მისაქცევია ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის, რომელიც პერიოდულად იტბორება, განვითარების საკითხი;

დამატებით გაცნობებთ ტექნიკური ხასიათის შენიშვნებს:

- სგშ-ის ანგარიშში ჩატარებულ საინჟინრო-გეოლოგიურ და საველე კვლევებზე არ არის მითითებული კვლევების ავტორი და მისი კვალიფიკაცია;
- სგშ-ის ანგარიშში არ არის გეოლოგიური რუკის ლეგენდა სრულყოფილი, შესაბამისად საჭიროა დაემატოს შემდეგი აღნიშვნები: მასშტაბი, ავტორი და წელი;
- ტერმინი - „გეოდინამიკური“, რომელიც დედამიწის სიღრმეში მიმდინარე მეგა- მასშტაბის პროცესებს ეხება, უმჯობესია შეიცვალოს ტერმინით - „ეგზო-გეოდინამიკური“;
- საჭიროა წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით.

ამასთან, გიგზავნით სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებით, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილ კორესპონდენციას.

გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის 2 თვის ვადაში სააგენტოში წარმოდგენა.

დანართი: ელ. ვერსია

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/7745-21-2-202407251034